პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1977 წ.

№ 233 (6288)

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს მოსკოვში

მუშაობს შეუდგება სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია

# ფავორიტებთან დავაში

## საქართველოს აკრობატთა ახალი წარმატება

„ლელოს" წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ ბრიანსკში დამთავრდა აკრობატთა 29-ე საკავშირო ჩემპიონატი. გუშინ რედაქციას ეწვია აკრობატიკის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ვ. ალთუნაშვილი, რომელმაც მოგვაწოდა უფრო დაწვრილებითი ცნობები ჩემპიონატისა და ამ ასპარეზობაში საქართველოს გუნდის, ცალკეული სპორტსმენების წარმატებით გამოსვლების შესახებ.

ორიოდე თვის უკან ტაშკენტში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს აკრობატთა ნაკრები შესანიშნავად გამოვიდა: ბიჭების ოთხეულმა ოქროს მედლები მოიპოვა, გოგონების სამეულმა — ვერცხლისა, ხოლო ბიჭების წყვილმა — ბრინჯაოსი. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენი სპორტსმენები III ადგილზე გავიდნენ.

და აი, ახლა ბრიანსკის სატვირთო მანქანების მშენებელი ქარხნის სპორტის სასახლეში გამართულ აკრობატთა 29-ე საკავშირო ჩემპიონატზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში ტაშკენტური შედეგი გაიმეორა — მოსკოვის, ლენინგრადის და მოკავშირე რესპუბლიკების 14 კოლექტივთან დავაში საერთო III ადგილი დაიკავა.

როგორც შარშან, ახლაც გუნდური პირველობა მოიგო რსფსრ-ს ნაკრებმა, რომელმაც მრავალჭიდში 571,13 ქულა მოაგროვა. II ადგილი წილად ხვდათ უკრაინელ სპორტსმენებს — 554,158 ქულა. III ადგილის მთავარ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ ყაზახეთის, ბელორუსიისა და მოლდავეთის აკრობატები. მაგრამ მოხდა ისე, რომ სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ჯამში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები უფრო უკეთ გამოვიდნენ და III ადგილიც მათ დაისაკუთრეს — 545,75 ქულა. საქართველოს წარმომადგენლებმა ყაზახეთის გუნდს 1,43 ქულით სძლიეს.

ოთხდღიან სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ ქალთა შორის აკრობატულ ხტომებში პირველობა მოიგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ლ. ციგანოვა-გრომოვამ (სტავროპოლი) — 38,83 ქულა. თანაგუნდელი ვ. ჩუხარევა მას 0,37 ქულით ჩამორჩა. III ადგილი ერგო ნ. მასლობოიშჩიკოვას (ტოლიატი) — 38,12. ჩვენი გუნდის წევრები ნ. ხიდაშელი (ასკ) და სოხუმის სპარტაკელი ე. ეჯიბია 38 მონაწილედან შესაბამისად მე-13 და 21-ე ადგილებზე გავიდნენ.

ვაჟებში იმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ი. ბრიკმანმა (იაროსლავლი) — 39,13. აქ მომდევნო ადგილებზე არიან კრასნოდარელი ა. მარეიდო (38,89) და მინსკელი ვ. ბინდლერი (38,49). რუსთაველმა გ. ბერიძემ („განთიადი") მე-13 შედეგი აჩვენა, ხოლო თბილისის არმიელმა ზ. კილაძემ უკან ჩამოიტოვა 19 მეტოქე და მე-18 ადგილზე გავიდა.

ქალთა წყვილების შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმეს საბჭოთა კავშირის შარშანდელმა ჩემპიონებმა გ. სტარცევამ და ლ. გლაზუნოვამ (ვორონეჟი). ვაჟებში თავი გამოიჩინეს მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონებმა ვ. ნაზაროვმა და ვ. ალიმანოვმა (ვოლგოგრადი). შერეულ წყვილებში უძლიერესნი გახლდათ ოლგა გრიშჩენკო და ე. მიხალიჩევი (იაროსლავლი).

საინტერესო იყო ქალთა სამეულების ტურნირი. აქ გამარჯვების სასწორმა ტოლიატის ტრიოს (თ. დუბროვინა, ტ. საბლინა, ვ. ზელეპულინა) მხარეს გადაძალა. შესანიშნავად გამოვიდა საქართველოს კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორები ნ. მნათობიშვილი, მ. კიკილაშვილი და მ. შილაკაძე. მათ 37,68 ქულა მოაგროვეს და ოდნავ ჩამორჩნენ გამარჯვებულს.

ასევე II ადგილი დაიკავა საქართველოს ვაჟთა წყვილმა — დ. გაგოშვილმა და ზ. ნიკოლაიშვილმა („შრომითი რეზერვები", 37,18 ქულა), რომლებმაც წინ მხოლოდ უკრაინელები ი. ტიშლერი და ს. პეტროვი გაუშვეს. თანაგუნდელებს არც ჩვენი „შრომითი რეზერვების" ვაჟთა ოთხეული ჩამორჩა: პ. სუთიძე, ვ. თურქაძე, ა. არუთინიანი და გ. კაკაშვილი ვარჯიშებს შესანიშნავად ასრულებდნენ, საბოლოოდ 36,82 ქულას მოუყარეს თავი და II ადგილზე გავიდნენ. გამარჯვებულების, კრასნოდარის კვარტეტის (ლ. პესოკი, ვ. და ი. მოტრენკოები, მ. სმირნოვი) შედეგია 37,48 ქულა. ჩვენი ვაჟების დუეტისა და კვარტეტის წევრები საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან. სწორედ მათმა მონდომებამ განაპირობა საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ნაკრების III ადგილი.

საქართველოს 20 წარმომადგენლიდან 16 მონაწილემ სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა.

ბოლო ორი დღე დაეთმო პირად ფინალურ შეჯიბრებას. ფინალში კი საქართველოს ვაჟთა ოთხეული და ორეული და ქალების ორივე სამეული გავიდა. აქ საბოლოოდ ჩვენი ოთხეული ფინალის მეორე ვარჯიშში III ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო დუეტმა V ადგილი დაიკავა...

საქართველოს კოლექტივი მხოლოდ თბილისელი და რუსთაველი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ერთადერთი თ. ეჯიბია გახლდათ სოხუმიდან. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ აკრობატიკა რესპუბლიკის ყველა ქალაქში არ არის დანერგილი. და მაინც, შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ, ვინაიდან ასეთი წარმატება, როგორსაც წლეულს სპორტის ამ სახეობაში მივაღწიეთ, კარგა ხანია არ გვქონია.

• • •

**სურათზე:** საქართველოს ვაჟთა ოთხეული ასპარეზობის დროს.



იმის შესახებ თუ რა კეთდება ბორჯომის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების დადგენილების შუქზე, თუ როგორ ემზადებიან რაიონის ფიზკულტურული კოლექტივები საქართველოს VII სპარტაკიადისთვის, მოგვითხრობთ მე-2 გვ.

მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

# მთავარი ამოცანა

**მ. სტაჟაძე,**
**საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი**

**საბჭოთა** სახელმწიფო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. სკკპ XXV ყრილობაზე ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფიზკულტურა და სპორტი ხელს უწყობს აქტიური, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მითითება — „გვინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იყოს არა მარტო ყოველმხრივ განათლებული და სულიერად ლამაზი, არამედ ჯანსაღიც, გამოწრთობილი, ჯანმაგარი..." — ბევრს გვავალებს.

ბორჯომის რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის გაშლილ მუშაობას საფუძვლად უდევს პარტიის XXV ყრილობის მითითებები და 1977 წლის 2 ივლისს გამართული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებანი.

რაიკომი აქტივის ამ კრების შემდეგ სისტემატურ ყურადღებას უთმობს ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის შესწავლასა და მისი გაუმჯობესების საკითხებს. გაწეული მუშაობის დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ რაიკომის ბიურომ უკვე 1977 წლის 22 დეკემბერს იმსჯელა „რაიონში ფიზკულტურის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", ხოლო მიმდინარე წლის ივლისში პლენუმმა განიხილა საკითხი „რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შუქზე რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". დეკემბერში პარტიის რაიკომის ბიურო დაუბრუნდება ამ საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი სულ უფრო მეტ ყურადღებას იჩენს რაიონული საბჭოს აღმასკომიც, შარშან და წელს აღმასკომის სხდომებზე განიხილეს ამ მუშაობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგია, რომ ბორჯომის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები მეტს ზრუნავენ მშრომელთა ჯანმრთელობისთვის, ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის.

რაიონში დანერგილია სპორტის 19 სახეობა და გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მაღალკვალიფიციური თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადებაში.

ახლა ჩვენში 11 ათასზე მეტი ფიზკულტურელია, რაც გეგმას საგრძნობლად აღემატება. გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების დავალებები: აქტივის კრების შემდეგ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მომზადდა სპორტის 2 ოსტატი, 22 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 258 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი.

(დასასრული მე-2 გვ.).

# სოფლის სპორტზე ზრუნვით

**25 ნოემბერს** მოსკოვში გამართულ სოფლის სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოს IV პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობის, სოფლის სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის" დებულებების ცხოვრებაში განხორციელების საკითხებს. პლენუმზე განხილულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, რაზეც მეტყველებს დღის წესრიგი: „მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისთვის სოფლის სპორტსაზოგადოებათა საბჭოების უფრო ეფექტური მუშაობა"; „სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო თამაშების შედეგები და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადება".

ფიზიკური კულტურა და სპორტი სოფლის მშრომელთა კულტურისა და ყოფაცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მათი ფიზიკური და სულიერი ალზრდის, ჯანმრთელობის განმტკიცების ძლიერი ფაქტორი გახდა.

ამჟამად 12 მილიონზე მეტი სოფლის მშრომელი მონაწილეობს მშდ-ს ნორმატივების ჩაბარებაში. საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლო დაწესებულებებში მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობის პროპაგანდის საქმეში დიდი როლი შეასრულა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებმა, რომლის ფინალი წლეულს გაიმართა. მასობრივ შეჯიბრებებში 65 ათასი ფიზკულტურის კოლექტივის 15 მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ათასზე მეტი ფიზკულტურელი სპორტის ოსტატი გახდა, 73-მა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამ თამაშებისთვის სოფლებში აშენდა 56 სტადიონი, 228 სპორტული დარბაზი, 11 დახურული აუზი...

პლენუმზე აღინიშნა ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც, კერძოდ, ითქვა, რომ ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს მუშაობა სოფლის ახალგაზრდობის სპორტში ჩასაბმელად, არასაკმაოდ ვითარდება სპორტის ეროვნული სახეობები. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების მხრივ მუშაობა შეასუსტეს სპორტსაზოგადოებებმა — „კოლხოზჩიმ" (თურქმენეთი), „ხოსილოტმა" (ტაჯიკეთი), „მეხსულმა" (აზერბაიჯანი), „კოლხოზჩუმ" (ყირგიზეთი).

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის აქტივიზაციაზე ზრუნვით იყო გამსჭვალული სოფლის სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელების, ცნობილი ათლეტების, მწვრთნელების გამოსვლები (საკდესი).

# მთავარი ამოცანა

დასასრული

საგრძნობლად განმტკიცდა ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: შარშან ბორჯომის სტადიონის ტერიტორიაზე დაიწყო დახურული საცურაო აუზის მშენებლობა, მწყობრში ჩადგა საჭიდაო და ძალოსნობის დარბაზი, სპორტსმენებისთვის — სასტუმრო, შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა ბაკურიანში და სხვა.

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას კარგად უძღვებიან საწარმოო გაერთიანება „ბორჯომში", ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში, მთელ რიგ საშუალო სკოლებში...

მაგრამ თავის მოტყუება იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მწვერვალებს. ამ მიმართებით გაწეული მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ გასაკეთებელი გაცილებით მეტია, ვიდრე გაკეთდა.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ფიზკულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არ გამხდარა რაიონის ყველა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მზრუნველობის საგანი. აპატომაც მუშაობა ბევრად ჩამორჩენა მოთხოვნებს ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში, № 3 სამშენებლო სამმართველოში, „კურორტვაჭრობაში", კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში, მთელ რიგ სხვა შრომითს კოლექტივებში, განსაკუთრებით კი — სოფლად. რაიონში მხოლოდ სათხილამურო სპორტის განვითარების დონე თუ პასუხობს მოთხოვნებს და იქაც ჯერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი.

რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა მშდ ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვასა და ნორმატივების ჩაბარებას.

ჯეროვანი პროპაგანდა არ ეწევა იმათ ინიციატივას, ვინც სახელმწიფოებრივ მიდგომას იჩენს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი, სახსრებს ნახულობს სპორტული კომპლექსის ასაშენებლად. მხედველობაში გვაქვს საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" მონდომება. კარგი ინიციატივა გამოიჩინა ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის ხელმძღვანელობამაც, რომელმაც მშრომელებისთვის ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები მოაწყო.

რაიონის უმეტესი წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ინერტიულობენ, არ ზრუნავენ თუნდაც მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მშენებლობისთვის. ამ მხრივ სასოფლო და სადაბო საბჭოებიც სცოდავენ.

საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას უნდა მიეწეროს შუშის ქარხნის კოლექტივის ძალებით აგებული სპორტული მოედანი სამარაგო ნედლეულის საწყობად რომ გადაიქცა. ქ. ბორჯომში, ახალშენის უბანში ამ 7 წლის უკან აგებული კომუნალური ფონდის 5 საცხოვრებელი სახლი ისე შევიდა ექსპლუატაციაში, რომ ამ მიკრორაიონში არავინ იზრუნა თუნდაც ერთი მარტივი ტიპის სპორტმოედნის მოწყობისთვის.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არა აქვს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლის სათანადო პირობები. 14 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან მარტო 8 სკოლას აქვს სპორტდარბაზი.

არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის საქმიანობა. მას სუსტი კონტაქტი აქვს დამყარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სათანადოდ ვერ აკონტროლებს მათ ფიზკულტურულ-სპორტულ და კლასგარეშე მუშაობას.

დაბალია ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის, სპორტსაზოგადოებათა რაიონული საბჭოების დახმარება და კონტროლი პირველად ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი. ესეცაა მიზეზი, რომ სოფლად მცხოვრები 20 ათასი კაციდან სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში" მხოლოდ 1645 კაცია გაერთიანებული.

საქართველოს VII სპარტაკიადისთვის მზადებას რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები დიდი ხანია შეუდგნენ, ბევრი რამ სასარგებლოც გაკეთდა, მაგრამ სპორტული მუშაობის კიდევ უფრო მაღლა დაყენების საქმეში პრეტენზიები ჩვენც გვაქვს ზემდგომ ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან, მშენებლებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის სტადიონზე ვაშენებთ დახურულ საცურაო აუზს. მისი ბედით აქამდე არ დაინტერესებულა საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამისი განყოფილება — მისგან არავითარი დახმარება არ მიგვიღია, „საქსპორტმშენის" სამმართველოს ისიც უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ჩვენის აზრით, სრულიად უმიზეზოდ გააუქმა „სპორტმშენის" ბორჯომის უბანი. არადა, ამ ორგანიზაციას ჩვენსა და მეზობელ რაიონებშიც საკმაო საქმე აქვს. ფაქტად თუნდაც ის კმარა, რომ ბაკურიანის სპორტული ბაზების მშენებლობა ჭიანურდება. საბაგირო გზა „ვლ-1000"-ის დადგმა-დამონტაჟებას რამდენიმე წელია საშველი არ დაადგა. ბაკურიანი კი არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საკავშირო მასშტაბით სათხილამურო სპორტის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია.

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომი მიზნად ისახავს საფუძვლიანად შეცვალოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დამოკიდებულება, რომ ყველამ იგრძნოს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი პასუხისმგებლობა, რომ ყველამ სათანადო წვლილი შეიტანოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების მიერ მიღებული ღონისძიებების გატარებაში.

ბორჯომის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები რაიონის ხელმძღვანელთა ზრუნვით ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისთვის.



**რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ**

მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

# მწყობრში ჩადგება...

**შრომის** წითელი დროშის ორდენოსანი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" კოლექტივს კარგი სპორტული ტრადიციები აქვს. შეიძლება ითქვას, რომ იგი რაიონის ფლაგმანად ითვლება.

საქართველოს მორიგი სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ქარხნის დირექციის ზრუნვით, აქაური ფიზკულტურული კოლექტივი კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

დიდი ხანი როდია, რაც მწყობრში ჩადგა საწარმოო გაერთიანების № 2 ჩამომსხმელი ქარხანა. დღეს კი მის ტერიტორიაზე თვალს ახარებს ფიზკულტურული კოლექტივის კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონის მოედნები. სულ მალე აქ მწყობრში ჩადგება თანამედროვე ტიპის საცურაო აუზი, რაც ხელს შეუწყობს ცურვის განვითარებას, ქარხნის მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგების ზრდას.

**ხ. მარტიაშვილი,**
**გაერთიანების ფიზკულტურის მეთოდისტი, სპორტის ოსტატი.**

* * *

სამწუხაროდ, ბორჯომის რაიონი ჯერ კიდევ როდია უზრუნველყოფილი სპორტული ბაზების ქსელით. ამ სფეროში მართლაც რომ უამრავი საქმე აქვთ მოსაგვარებელი ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ყველა ბორჯომელს.

პირველ რიგში ეს ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თუნდაც მარტივი ტიპის სპორტული ბაზებით უზრუნველყოფას. თვით ბორჯომში ასეთი რამ არ გააჩნიათ №№ 1, 2, 4 საშუალო სკოლებს, შესაკეთებელია სპორტსკოლის დარბაზიც...

●

**ს უ რ ა თ ზ ე: გაერთიანება „ბორჯომის" № 2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე ბაზების მშენებლობის საერთო ხედი.**
**ნ. ქარელის ფოტო.**



**კლასიკურ** ჭიდაობაში ახალგაზრდა მწვრთნელის მოსვლას სიხარულით შეხვდნენ, თუმცა მაშინ მუშაობისთვის არავითარი პირობები არ არსებობდა.

ბაზისა და ინვენტარის უქონლობას სპორტის ოსტატ აკაკი ბალხამიშვილისთვის ხელი არ შეუშლია, საქმეს სიყვარულით მოჰკიდებოდა.

ენთუზიასტს მალე ყველა მხარეში ამოუდგა, რაიონის ხელმძღვანელობის ზრუნვით საზაფხულო კინო-თეატრის ძველი შენობა სპორტდარბაზად გადაკეთდა და ბალხამიშვილიც რამდენიმე თვეს საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა.

საქართველოს მორიგი სპარტაკიადისთვის მზადებაში ჭიდაობის ახალგაზრდა ჯგუფის საქმიანობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ზუგდიდში, ცხაკაიაში, კასპში, ზესტაფონში, თელავში, ჭიათურაში, ბათუმში და, შემდეგ, ბუხარაში ჩატარებულ რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობებში გამოიწრთო ბორჯომელ სპორტსმენთა ძალა და ნებისყოფა.

ამ ტურნირებში მათ მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვეს. კასპში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში ბალხამიშვილის აღზრდილებმა გუნდური II ადგილი დაიკავეს, ნ. ბესტავაშვილმა, გ. გელაშვილმა და გ. იობაშვილმა კი ჩემპიონობა დაისაკუთრეს. სხვადასხვა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური პირველობის ლაურეატები გახდნენ ა. თამაზაშვილი, თ. გოგნაძე, გ. ნანეტაშვილი...

ბალხამიშვილის ბეჯითი შრომა დაფასდა — მისი აღზრდილები ნ. ბესტავაშვილი და ა. გათაშვილი სპორტის ოსტატობის კანდიდატები გახდნენ, გ. იობაშვილმა, გ. გელაშვილმა და თ. გოგნაძემ პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულეს, 30-მდე ახალგაზრდა უკვე მეორე- და მესამეთანრიგოსანია.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა კარგი წამოწყება გადამდები გამოდგა: რაიონში თავისუფალი ჭიდაობის მოყვარულებიც მომრავლდნენ, რომელთაც უნარიანად უძღვებიან მოწვეული მწვრთნელები, სპორტის ოსტატები ა. თამაზაშვილი და ხ. მარტიაშვილი.

# წარმატება შრომით მოდის

ერთი სიტყვით, ჭიდაობამ ბორჯომშიც მოიკიდა ფეხი. ისე, რომ მომავალ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ჩვენ ამ სახეობებშიც გამოვიყვანთ გუნდებს.

სამწუხაროდ, სპორტსმენთა ნორმალურ მზადებას ხელს უშლის სპორტდარბაზის გათბობის მოუგვარებლობა. ამ საქმეს „სპორტმშენის" ბორჯომის უბანი აწარმოებდა, მაგრამ მინდობილ საქმეს ორი წლის მანძილზე თავი ვერ მოაბა, ახლა კი უბანი გაუქმდა. დარბაზი გათბობის გარეშე დარჩა. ბორჯომში კი, სადაც რესპუბლიკაში ყველაზე ხანგრძლივი ზამთარი იცის, ასეთ პირობებში ვარჯიშების ნორმალურად ჩატარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**ნ. გოქაძე,**
**ბორჯომის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: კლასიკური სტილის მოჭიდავენი მორიგ ვარჯიშზე.**
**ნ. ქარელის ფოტო.**

# საერთო ძალით ეს შეიძლება

**აქაურ** ახალგაზრდებს შორის საკმაოდ ბევრია ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტები, რომლებიც საყვარელი სახეობის პოპულარიზაციისთვის არაფერს იშურებენ...

ახალდაბაში, სადაც 700-ზე მეტი კომლია, ცხოვრობს ერთი ასეთი ენთუზიასტი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის კურსდამთავრებული, პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი ჯ. ბლიაძე. იგი დიდხანს საზოგადოებრივ საწყისებზე უმცროსი და მოზარდთა 2 ჯგუფს ამეცადინებდა, შემდეგ კი საავეჯო ფაბრიკის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად დანიშნეს.

სპორტს ასეთი ადამიანები აუცილებლად სჭირდება, მაგრამ ასეთ დიდ დასახლებაში მშრომელთა გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლისთვის ეს არ კმარა. წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში კი სადაბო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ი. გამეზარდაშვილი) მეტი აქტიობა უნდა გამოიჩინონ ბაზების ქსელის გაფართოების, სპორტული ღონისძიებების გამართვის საქმეში.

მართალია, ადგილობრივი ფეხბურთის მინდორი შემოღობეს, გამარჯვების დღესასწაულის დღეებში სამამულო ომში დაღუპული ახალდაბელების ნ. აბრამიშვილისა და ა. ბარბაქაძის პრიზებზე ტყვის მსროლელთა შეჯიბრებებიც ჩაატარეს, მაგრამ განა ეს საკმარისია?

ალბათ დადგა დრო, სადაბო საბჭოსთან შეიქმნას ფიზკულტურისა და სპორტის საბჭო, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას. დაბას კი ფეხბურთის მოედნის მეტი არაფერი გააჩნია და ეს ბაზაც მეზობლად მცხოვრებთა მფლობელობით ისე შეავიწროვეს, რომ ფეხბურთის თამაშიც რის ვაივაგლახით ხერხდება.

ახალდაბის სკოლა-ინტერნატს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები აქვს. მოსწავლეთა განკარგულებაშია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, დარბაზი. მაგრამ იგი სანიტარული ტიპის სასწავლო დაწესებულებაა და სხვებისთვის ამ ბაზების კარი დაკეტილია. საშუალო სკოლის სპორტდარბაზის როლს კი პატარა საკლასო ოთახი ასრულებს.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა თუ დაბის საბჭოს, სხვა ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობით თუნდაც ტიპიური სპორტდარბაზი აშენდებოდა. ეს ადგილობრივი ფიზკულტურელების, ენთუზიასტების მუშაობას კიდევ ნაყოფიერს გახდიდა და ახალდაბის გუნდებს რაიონულ სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობის იმედიც ექნებოდათ.

**თ. ხუხუნაიშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგიჩაშვილი — კონტინენტის ჩემპიონი



უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში ახალგაზრდულ გუნდებს შორის. საბჭოთა სპორტსმენებმა ოქროს 5, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 4 მედალი მოიპოვეს.

ჭაბუკთა შორის კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ი. სოკოლოვი (53 კგ) და ვ. დივისენკო (83), იუნიორთა შორის კი — ნ. კოვპერლიანი (65) და ვ. ბუგანოვი (86). წარმატებით იასპარეზა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა, სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ბორის გოგიჩაშვილმა. ქართველი ფალავანი 95 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა.

ს უ რ ა თ ზ ე: ბ. გოგიჩაშვილი.

●

კაუნასში გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ძიუდოში. ფინალურ შეხვედრაში, როგორც შარშან, ამჯერადაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

რსფსრ-ს სპორტსმენებმა რევანში აიღეს — ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივი და საპატიო თასს დაეუფლნენ.

## ჭიდაობა

ლენინაკანში ჩატარდა სომხეთის რუსეთთან შეერთების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან მიწვეული იყო „შრომითი რეზერვების“ ჭაბუკთა ნაკრები. ლენინაკანის ხალიჩაზე ქართველმა ფალავნებმა ჩინებულად იასპარეზეს და სამი I და ამდენივე II ადგილი მოიპოვეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შევხვდით გუნდის მწვრთნელს თამაზ კიკნაძეს და განვლილ ორთაბრძოლებზე ვესაუბრეთ.

— ლენინაკანის ტურნირზე, — თქვა მან, — უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოსა და მასპინძლების 185 უძლიერესი ჭაბუკი ცდიდა ძალას. ეს ციფრი თავისთავად ბევრის მთქმელია. შეჯიბრების მონაწილეთა სიმრავლე იმანაც განაპირობა, რომ იანვრიდან ჩვენი ქვეყნის ფალავნები თავიანთი სპორტული საზოგადოებების ცენტრალური საბჭოების პირველობებში ჩაებმებიან და სომხეთში გამართული შეჯიბრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, გენერალური რეპეტიცია იყო მომავალი ასპარეზობებისთვის. ჩვენი ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ის იყო, რომ შეგვემოწმებინა ბიჭების მზადყოფნა ტალინის სტარტებისთვის, სადაც მომავალი წლის პირველივე რიცხვებში გაიმართება „შრომითი რეზერვებს“ საკავშირო ასპარეზობა.

## გენერალურ რეპეტიციაზე

ბიჭების გამოსვლით ძირითადად კმაყოფილი ვარ. ასეთი ძლიერი შემადგენლობის ტურნირში გამარჯვება თავისთავად დიდი წარმატებაა, მაგრამ თუ ეს წარმატება ვაჟკაცური და ტექნიკური ბრძოლითაა მოპოვებული, მით უფრო საპატიოა. სწორედ ასე ჭიდაობდნენ მძიმე წონაში გამარჯვებული კახა მაზმიშვილი, აკაკი ფირცხალავა (65 კგ) და დავით ფირიაშვილი (45 კგ). არანაკლებ ქებას იმსახურებს II ადგილზე გამოსული ალექსანდრე მამასახლისი (48), რომელიც ტურნირში დაშავებული ჩაება, მაგრამ ალექსანდრემ მაინც მოიგო ხუთი ორთაბრძოლა, მხოლოდ ფინალში დათმო შეხვედრა და II ადგილზე დარჩა. ქებით მინდა მოვიხსენიო, აგრეთვე, II ადგილზე გამოსულები — თემურ ოხიყმაშვილი (60 კგ) და ბორის კარაკოვი (56 კგ).

ო. ყიფშიძე.

# მედალი ჩემპიონთა მწვრთნელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა იგორ კოშკინმა, როგორც შარშან, წელსაც გაიმარჯვა ცურვის მწვრთნელთა ტრადიციულ საკავშირო კონკურსში. იგი დაჯილდოვდება სსრ კავშირის სპორტკომიტეტის საპატიო მედლით. ლენინგრადის სპორტსკოლა „ეკრანში“ მუშაობის პერიოდში კოშკინმა მოამზადა მსოფლიოს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სალნიკოვი, ევროპის ჩემპიონი ს. რუსინი, ქვეყნის ჩემპიონები ე. სერედინი, მ. გორელიკი და წყლის ბილიკების სხვა ცნობილი ოსტატები.

II ადგილი მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ლენინგრადელ ლ. ამიროვას, ხოლო III — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ოდესელ ბ. ზენოვს.

წლეულს კოშკინის აღსაზრდელებმა არა მარტო გაიმარჯვეს, არამედ რეკორდებიც გააუმჯობესეს. მაგალითად, სალნიკოვმა და რუსინმა ევროპის რეკორდები დაამყარეს თავისუფალი სტილით ცურვაში. ლენინგრადელებმა ი. ბოგდანოვამ (მწვრთნელი ამიროვა) წლეულს ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი ბრასის სტილით ცურვაში და მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 100-მეტრიან დისტანციაზე. ვილნიუსელმა ლ. კაჩიუშიტემ, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის წინ ზენოვი ავარჯიშებდა, არა მარტო მოიგო ოქროს მედალი 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, არამედ ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

კონკურსის 25 ლაურეატს შორის, კიდევ არის 5 ლენინგრადელი, 4 — მოსკოველი, 3 — კიეველი, 2 — ვილნიუსელი და თითო — მინსკელი, ხარკოველი, ჩელიაბინსკელი, ნოვოსიბირსკელი, დნეპროპეტროვსკელი, ივანოვოელი, ელგაველი და მოსკოვის გარეუბნის წარმომადგენელი. (საქდესი).

## ციგურები

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ს. მარჩუკი საუკეთესო იყო უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე გამართულ მრავალჭიდელთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც პირველად გაიმართა კიევის ყინულის სტადიონზე. მარჩუკის შედეგია 172,994 ქულა (500 მ — 41,2, 3000 — 4.27,4, 1500 — 2.04,4, 5000 — 7.38,6).

## რეგბი

ესპანეთის ქალაქ ბარსელონას სტადიონზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატის მატჩი, რომელშიც სენსაციური გამარჯვება მოიპოვა პოლონეთის ნაკრებმა. მან აქ დაამარცხა კონტინენტის შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, ესპანეთის გუნდი — 16:7 (13:7). ახლა პოლონელებს, ისევე, როგორც საბჭოთა რეგბისტებს, 2 თამაშიდან 4 ქულა აქვთ.

## [illegible]

### ჭიათურა

8 გუნდი მონაწილეობდა გარდამავალი თასის გათამაშებაში ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ფინალში, რომელიც „მაღაროელის“ სტადიონზე შედგა, ერთმანეთს შეხვდნენ მაღარო ახალი ითხვისისა და ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გუნდები. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს ითხვისელებმა (მწვრთნელი ჟ. ოვანოვი).

გ. ბარჯაძე.

### ონი

ერთ თვეზე მეტ ხანს გასტანა საშუალო სკოლების პირველობამ ფეხბურთში. გამარჯვება წილად ხვდათ ონის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

ნ. დუშუაშვილი.

### ჩხოროწყუ

ხუთ თვეს მიმდინარეობდა სარაიონო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ფეხბურთში, რომელშიც 10 ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა სოფელ ლეჟინეს ნაკრებმა (მწვრთნელი ა. ჟიჟინავა). მომდევნო ადგილებზე შესაბამისად სოფელ ჭოლისა და ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის გუნდები გავიდნენ.

ლ. ყურაშვილი.

### საჩხერე

რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება „იმედის სტარტები“, რომელიც ძლეოსნურ სპრინტში გაიმართა, სვიტორის საშუალო სკოლის გუნდმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საჩხერის მეორე საშუალო სკოლისა და ჩიხის საშუალო სკოლის კოლექტივები. 8-წლიან სკოლებში იმარჯვა მოძვის სკოლის გუნდმა.

ა. ანასაშვილი.

### თერჯოლა

რაიონის „იმედის სტარტების“ პროგრამით სხვადასხვა დისტანციაზე რბენაში ყველას აჯობეს: საშუალო სკოლების გუნდებს შორის — ქვედა სიმონეთის 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა, რვაწლიან სკოლებს შორის ტყიბულესის სკოლის გუნდმა.

სიგრძეზე ხტომაში I-II ადგილები გაიყვეს ქვედა სიმონეთის 1-ლი და ზედა სიმონეთის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა; ცალკე რვაწლიან სკოლებში ყველაზე მარჯვენი აღმოჩნდნენ გოდოგნელები.

ვ. კუტალაძე.



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს 1978 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — ფოთის „კოლხეთი“: სხედან (მარცხნიდან) — რ. ქაჯაია, ს. ქორიძე, ზ. გვალია, ზ. თოფურია, თ. ცქვიტაია, რ. ლოლუა; დგანან — მწვრთნელი ჯ. კუჭუხიძე, გ. ჩემინავა, ვ. გუდავაძე, ვ. მადანი, რ. ხანაია, ს. ფილია, თ. ტყებუჩავა, ე. ყურაშვილი, მწვრთნელი ვ. ხინთიბიძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ჩეხოსლოვაკია

13 ტურის შემდეგ პრაღის „დუკლამ“ და ოსტრავის „ბანიკმა“ 19-19 ქულა მოაგროვეს და უკვე 4 ქულით ჩამოიტოვეს „ზბროიოვკა“ (ბრნო) და „დუკლა“ (ბანსკაბისტრიცა).

ყურადღების ცენტრში იყო მატჩი პრაღაში ადგილობრივ გუნდებს „სლავიასა“ და „დუკლას“ შორის. „დუკლა“ აშკარად უკეთესი იყო — 4:2. „ბანიკმა“ ტრენჩინში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „იედნოტასთან“ — 1:1.

### პოლონეთი

XV ტურით დამთავრდა I წრე. სწორედ ამ ტურში გაიმართა ცენტრალური მატჩი ოპოლეში ადგილობრივ „ოდრასა“ და ხოჟუვის „რუხს“ შორის. დაძაბული ბრძოლა დასრულდა ფრედ — 2:2. ახლა „ოდრა“ 22 ქულით კვლავინდებურად ინარჩუნებს პირველ ადგილს. 20-20 ქულა აქვთ ხოჟუვის „რუხსა“ და ლოძის „ვიძევს“.

### უნგრეთი

მიმომხილველები აღნიშნავენ მაყურებელთა მცირე დასწრებას XII ტურში: 9 მატჩზე მოვიდა სულ 43 ათასი მაყურებელი.

„ჰონვედი“ (ბუდაპეშტი), რომელიც აქამდე ლიდერობდა, დამარცხდა შეკეშფეჰერვარში ადგილობრივ „ვიდეოტონთან“ — 0:1 და ლიდერობა „ფერენცვაროშს“ დაუთმო, რომელმაც თავის მხრივ ბუდაპეშტში სძლია „ვაშაშ-იცოს“ — 2:0.

12 ტურის შემდეგ „ფერენცვაროშს“ (ბუდაპეშტი) 18 ქულა აქვს, ამავე ქალაქის „ჰონვედსა“ და „დოჟა-უიპეშტს“ — 17-17.

სნაიპერთა შორის დაწინაურდა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ფაზეკაში („დოჟა-უიპეშტი“) — 11 ბურთი.

### რუმინეთი

12 ტურის შემდეგ განსხვავება ლიდერს — „ბაიასა“ (მარე) და ჩემპიონს — „სტეაუას“ (ბუქარესტი) შორის შემცირდა 1 ქულამდე. „ბაიამ“ საკუთარ მინდორზე წააგო (0:1) იასის „პოლიტექნიკასთან“, „სტეაუამ“ კი მოუგო „ბაკაუს“ — 2:1.

ახლა „ბაიას“ 17 ქულა აქვს, „სტეაუას“ — 16, „არჯეშს“ (პიტეშტი) — 15.

### ბულგარეთი

ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ თამაშობდა ვარნაში „ჩერნო მორესთან“ და ფრეს დასჯერდა — 0:0. ეს დაკარგული ქულა მას თავისი ერთპიროვნული ლიდერობის დათმობად დაუჯდა. სოფიის „ლევსკი-სპარტაკმა“ ძნელი გამარჯვება (1:0) მოიპოვა „ჰასკოვოსთან“ და ქულებით დაეწია არმიელებს, ბურთებით კი გაუსწრო კიდეც. ახლა „ლევსკი-სპარტაკსა“ და ცსკა-ს 20-20 ქულა აქვთ.

### იუგოსლავია

ლიდერი — ზაგრების „დინამო“ XIV ტურში თამაშობდა ბანია ლუკაში ადგილობრივ „ბორაცთან“ — 2:2. იგი 19 ქულით მაინც ერთპიროვნული ლიდერია. 18-18 ქულა ერთბაშად სამმა გუნდმა მოაგროვა: მოსტარის „ველეჟმა“, „ფკ სარაევომ“ და ტიტოგრადის „ბუდუჩნოსტმა“, 17-17 ქულა — სპლიტის „ჰაიდუკმა“ და ჩემპიონმა — ბელგრადის „პარტიზანმა“.

კვლავინდებურად მეტად მძიმეა ლიუბლიანის „ოლიმპიას“ მდგომარეობა. მართალია, უკანასკნელ ტურში მან გასვლით მატჩში ნოვი სადის „ვოივოდინასთან“ ქულა მოიპოვა — 0:0, მაგრამ 14 ტურის შემდეგ მხოლოდ 6 ქულა აქვს და კვლავინდებურად ბოლო, XVIII ადგილზეა. „ოლიმპიადან“ წავიდა უფროსი მწვრთნელი ელზნერი.

### პორტუგალია

„პორტო“ შინ ხვდებოდა გამარაეშის „ვიტორიას“ და ქულა დაკარგა — 1:1. ლისაბონის გუნდების — „ბენფიკასა“ და „სპორტინგის“ მატჩში „ბენფიკამ“ გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 5:0 და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მას ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს, ვიდრე „პორტოს“.

„ბენფიკამ“ და „პორტომ“ 14-14 ქულა მოაგროვეს.

### შოტლანდია

უიმედოდ ჩამორჩენილი „მოტერუელის“ გარდა, დანარჩენ 9 გუნდს ჯერ ყველაფერი წინა აქვს. განსხვავება I და IX ადგილებს შორის სულ 5 ქულას შეადგენს.

14 ტურის შემდეგ 17-17 ქულა მოაგროვეს „დანდი იუნაიტედმა“ და „პარტიკ თისლიმ“, 15-15 ქულა — „აბერდინმა“, „სელტიკმა“ (გლაზგო) და „გრენოკმა“ (პირველი ლიგის დებიუტანტი). ჩემპიონსა და თასის მფლობელს — „გლაზგო რეინჯერსს“ ასევე 15 ქულა აქვს.

## ფეხბურთი

### გფრ

მიმდინარე პირველობის დიდი სენსაციაა ჩემპიონის — „კიოლნის“ აშკარა ჩავარდნა. მიუხედავად იმისა, რომ მან XIV ტურში შინ მოიგო „ვერდერთან“ (ბრემენი) — 2:0, კლუბის მდგომარეობა ბევრად არ გამოსწორებულა. ახლა ჩემპიონი მხოლოდ XIII ადგილზეა.

„ჰერტა“ ხვდებოდა „ბოხუმს“, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატში კარგად თამაშობს. ფრე — 1:1.

ტურის ცენტრალურ მატჩში ლიდერმა — „კაიზერსლაუტერნმა“ შინ ანგარიშით 2:1 სძლია მიუნხენის „ბაიერნს“. მიმომხილველები მიიჩნიათ, რომ მასპინძლების დაცვამ ჩინებულად გაართვა თავი „ბაიერნის“ განთქმული „სამკუთხედის“ (ბრაიტნერი — რუმინეგე — გ. მიულერი) ნეიტრალიზებას.

ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დარმშტადტ 98“ — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 2:0, „ნიურნბერგი“ — „არმინია“ 0:1, „ფორტუნა“ — „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) 4:2, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — „შალკე 04“ 4:2.

14 ტურის შემდეგ „კაიზერსლაუტერნი“ ლიდერობს 23 ქულით. 20 ქულა აქვს „ჰამბურგერ შპორტფერაინს“, 19 — „შტუტგარტს“.









# სპორტული წიგნი-79

**ბოლო** წლებში სპორტის მოყვარულთა წიგნის თარო სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება როგორც ლიტერატურის რაოდენობით, ისე გამოცემათა თემატიკითაც. ამაში დიდი წვლილი შეაქვთ გამომცემლობებს „მოლოდაია გვარდიას“, „პროგრესს“, „პოლიტიზდატს“, და ცხადია, „ფიზკულტურა ი სპორტს“.

საინტერესოა გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის“ მომავალი წლის ლიტერატურის გამოცემათა გეგმა, რომელშიც მთავარი ადგილი, ცხადია, დათმობილი აქვს ოლიმპიურ თემას. გამომცემლობას მინიჭებული აქვს „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური გამომცემლის სახელი.

ოლიმპიურმა თემატიკამ, უნდა ითქვას, ხელი როდი შეუშალა გამომცემლობას წინანდელი მოცულობით გამოეშვა, ასე ვთქვათ, „არაოლიმპიური“ ხასიათის წიგნები. ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოცემა რამდენადმე გაიზარდა კიდეც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი ფიზიკური კულტურის პროპაგანდისთვის გამიზნულ წიგნებს. ამ სახის ლიტერატურა, რომელიც ფართო მკითხველისთვის არის გამიზნული, სპეციალურ სერიებადაა გამოყოფილი. აქ შედის მშდ-ს კომპლექსზე გამოცემები, წიგნები და ბროშურები სპორტის აქტივისტებისა და ფიზკულტურული მუშაკებისთვის, პოპულარულ-მეთოდური ლიტერატურა, სერიები „სპორტის ანბანი“ და „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა“, რომლებმაც უკვე პოპულარობა მოიპოვა. ეს სერიები საშუალებას აძლევს ყველა ასაკის ადამიანს დამოუკიდებლად მისდიოს ფიზკულტურასა და სპორტს.

მომავალი წლის გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მწვრთნელებისთვის, სპორტსმენებისთვის, მეცნიერ თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისთვის, ფიზკულტურის მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ლიტერატურას. ჩანზრახულია ცხრა სახელმძღვანელოსა და მეთოდურ მასალათა მთელი რიგი ბროშურების გამოცემა.

გაგრძელდება ყოველწლიური მეთოდური კრებულების გამოცემაც კრივში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ველოსპორტში, სათხილამურო სპორტში, ციგურაობაში, ძალოსნობაში, ჩოგბურთში.

მკითხველთა ფართო წრეებმა უკვე შეიყვარეს ლამაზად გაფორმებული სერიის „ოლიმპიური თამაშების გმირების“ წიგნები: „ირინა როდნინა“, „ლიუდმილა ტურიშჩევა“, „ვასილ ალექსეევი“, „ვლადისლავ ტრეტიაკი“. სულ მალე გამოვა ამ სერიის კიდევ რამდენიმე ბუკლეტი — „ლევან თედიაშვილი“, „ვიქტორ სანეევი“, „ნიკოლოზ ანდრიანოვი“, „ალექსანდრე მედვედი“, გაისად კი — „იანის ლუსისი“, „ნელი კიმი“, „ნიკოლოზ ბალბოშინი“. თვითეული მათგანი 100 ათასი ტირაჟით დაისტამბება.

მკითხველებს, ცხადია, მოეწონებათ ფერადი ალბომი „ხელოვნება — ოლიმპიადას“, რომელიც მოსკოვის თამაშების კულტურულ პროგრამას ეხება და სასუვენირო მინი-წიგნი „მოსკოვი-80“. ამავე სახელწოდებით გამოვა მოსკოვის ოლიმპიადის მზადებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ალმანახი. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებებს ეძღვნება ა. რომანოვის მიერ შედგენილი საინტერესო ცნობარი. ეჭვგარეშეა, მკითხველების მოწონებას დაიმსახურებს წიგნი საბჭოთა ოლიმპიელის სოციალური პორტრეტის შესახებ, ალბომი „ოლიმპიური დედაქალაქების არქიტექტურა“, მ. შიშიგინის „ოლიმპიადა, ოლიმპიადა...“, მინი-წიგნი „ტალინი-80“, საბჭოთა და საზღვარგარეთული სპორტული პოეზიის ანთოლოგია „ოლიმპიური ცეცხლი“.

გადამუშავების შემდეგ მეორედ გამოვა ისეთი საინტერესო წიგნები, როგორიცაა ბ. ხავინის „ყველაფერი ოლიმპიური თამაშების შესახებ“, ვ. შტეინბახის „ოლიმპიური ბატალიების გმირები“, ვ. ნოვოსკოლცევის „მოგიზგიზე ჩირაღდნები“. სერიაში „სპორტი საბჭოთა კავშირში“ გამოვა ბუკლეტები „ტანვარჯიში“, „ფარიკაობა“, „ხელბურთი“, „ძალოსნობა“, „ველოსპორტი“, „ჭიდაობა“, „კალათბურთი“ და სხვა.

შესანიშნავ ქართველ მთამსვლელზე და მეკლდეურზე მიხეილ ხერგიანზე მოგვითხრობს ი. ბურლაკოვის წიგნი, რომელიც გამოვა 75-ათასიანი ტირაჟით სერიით „სპორტისადმი მიძღვნილი გულები“. ამავე სერიაში მზადდება წიგნები ცნობილ მწვრთნელზე, ჰოკეისტსა და ფეხბურთელზე არკადი ჩერნიშოვზე და სახელგანთქმულ მოციგურავეზე იაკობ მელნიკოვზე.

„უცხოეთის სპორტის ვარსკვლავები“ — ასე ეწოდება სერიას, რომლითაც მკითხველმა უკანასკნელ წლებში ბევრი საგულისხმო წიგნი მიიღო. გაისად გამომცემლობა კიდევ ორ წიგნს გვთავაზობს: ოლიმპიურ ექს-ჩემპიონზე ბადროს ტყორცნაში, ჩეხოსლოვაკიელ ლიუდვიკ დანეკზე და ცნობილ ფინელ სტაიერზე ლასო ვირენზე.

საინტერესოა წიგნები „მაგები სტადიონზე“, „რბოლა ლე-მანში“, „თქმულება სპორტულ ჟურნალისტებზე“, ალბომები „ჰოკეი, ჰოკეი, ჰოკეი...“ და „მეგობრობის ზეიმი“, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადას ეძღვნება.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაკები 1979 წლის განმავლობაში დიდძალ მეთოდურ, საცნობარო თუ პოპულარულ ლიტერატურასა და პლაკატებს მიიღებენ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

* * *

**სურათებზე:** გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის“ მიერ ახლახან გამოშვებული წიგნები.

# კალათბურთი

## ლიდერი ორია

**[illegible]**, უმაღლესი ლიგის [illegible] ჩემპიონატზე, დიდი ინტერესი გამოიწვია გათამაშების ლიდერის მოსკოვის ოლქის „სპარტაკისა“ და რიგის ტტტ-ს შეხვედრამ. დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება მინიმალური სხვაობით — 55:54 (35:27) ლატვიელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. ახლა ორივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა (10) აქვს.

ასევე ერთი ქულით მოუგეს ვილნიუსის „კიბირკშტისის“ კალათბურთელებმა მოსკოვის „დინამოს“ — 66:65 (34:33). აღსანიშნავია, რომ თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე წინ დინამოელები იყვნენ (4 ქულით).

პირველი გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“ კიევის „დინამოსთან“ — 63:54 (26:26).

მოგვყავს ვილნიუსის ტურის დანარჩენი შედეგები: ნოვოსიბირსკის „დინამო“ — ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ — 72:70 (38:37), სვერდლოვსკის „ურალმაში“ — დნეპროპეტროვსკის „სტალი“ — 85:71 (46:31), ლენინგრადის „სპარტაკი“ — ცსკა — 76:66 (33:30).

# ჩოგბურთი

## „მშრალი“ ანგარიშით

**საბჭოთა** კავშირის ნაკრებმა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშების (ეს შეჯიბრება ქალთა გუნდების არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად ითვლება) მერვედფინალურ მატჩში მელბურნის ბალახის კორტებზე დაამარცხა ავსტრალიის გუნდი — 3:0.

საბჭოთა გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა მოსკოველმა ნატალია ჩმირიოვამ, რომელმაც ურსულუ ულრიხი დაამარცხა — 6:0, 6:2. შემდეგ მისმა თანაქალაქელმა ოლგა მოროზოვამ სძლია ჰელენე ვიმერს — 6:0, 6:1, ხოლო ჩმირიოვა-ელისენკოს (დონეცკი) წყვილმა ფარ-ხმალი დააყრევინა ულრიხ-ჰუგელის დუეტს — 6:1, 6:3.

ახლა საბჭოთა ნაკრები მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდება იუგოსლაველ ჩოგბურთელებს.

## „ვარსკვლავთა“ ტურნირი

**ტალინს** „დინამოს“ დახურულ კორტებზე დაიწყო საინტერესო საჩოგბურთო ტურნირი — „ვარსკვლავთა“ დიდი საერთაშორისო შეჯიბრება.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უიმბლდონის ტურნირის ოთხგზის გამარჯვებულის, 22 წლის შვედი ჩოგბურთელის ბ. ბორგისა და 24 წლის ამერიკელი ვ. გერულაიტისის შეხვედრამ. ყველაფერი იყო ამ ორთაბრძოლაში — ძლიერი მოწოდება, ეფექტური თამაში ბადესთან, თვალშეუვლები გადაადგილება კორტზე, ბრძოლა თითოეული ქულისთვის. ორსაათიანი დაძაბული პაექრობის შემდეგ გერულაიტისმა შეძლო მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება — 6:7, 6:4, 7:5. იმავე დღეს გაიმართა მსოფლიო საჩოგბურთო ელიტაში შემავალი სპორტსმენების — იტალიელი ა. პანატისა და ამერიკელი ს. მაიერის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა იტალიელმა — 7:6, 6:4.

# ახალი ფორმულით

**სამთოთხილამურეთა** მსოფლიო თასების გათამაშება სულ უფრო პოპულარული ხდება, თავის ორბიტაში სულ უფრო მეტ ფედერაციებსა თუ კავშირებს იზიდავს, იზრდება თასების მაძიებელ სპორტსმენთა და გუნდების რიცხვი.

მაგრამ ბოლო წლებში ხშირი იყო შემთხვევა, როცა უკანასკნელ სწრაფდაშვებაში შეჯიბრების შემდეგ ამ სახეობის აღიარებული სპეციალისტები, რომლებსაც სპეციალურ და გიგანტურ სლალომში არავითარი შანსები არ რჩებოდათ, შინისკენ მიემგზავრებოდნენ. საერთო ჯამში თასი კი სწორედ სლალომისტების საკუთრება ხდებოდა.

ამის მაგალითი გახლავთ იტალიელი გუსტავო ტონის მიერ 1971-72-73 და 1975 წლებში ამ ძვირფასი პრიზის დასაკუთრება, ხოლო 1974 წელს ასევე იტალიელი პიერო გროსის გამარჯვება და ბოლოს, შვედი ინგემარ სტენმარკის წარმატება უკანასკნელ სამ სეზონში ზედიზედ, თუმცა იგი სწრაფდაშვებაში შეჯიბრებას თავს არიდებდა ხოლმე (ამ სახეობისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არც ზემოთ დასახელებული იტალიელები იჩენდნენ).

აი, ფრანგ ჟან-კლოდ კილისა (პირველობა მოიგო 1967 და 1968 წლებში) და ავსტრიელ კარლ შრანცს (1969-1970 წლებში ფლობდა თასს) ამას ვერ ვუსაყვედურებთ. ისინი სამთო-სათხილამურო სპორტის სამივე სახეობაში თავგამოდებით იბრძოდნენ და ხშირად წარმატებითაც (საკმარისია გავიხსენოთ კილის ტრიუმფი გრენობლის ოლიმპიადაში).

სწორედ კილისა და შრანცის ბრწყინვალე გამოსვლების შედეგია, რომ სპორტის ამ სახეობამ ესოდენ პოპულარობა მოიპოვა და მსოფლიოს თასების გათამაშების ორგანიზატორებმაც სტარტების რიცხვი გაამრავლეს, ერთგვარად შეცვალა ასპარეზობათა ფორმულაც. ამ ფორმულით ჩატარებული შეჯიბრებების მრავალწლიანმა ანალიზმა სპეციალისტები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ იგი საგრძნობ უპირატესობას აძლევს მათ, ვინც მხოლოდ სლალომსა და გიგანტურ სლალომში ოსტატდებიან.

და აი, სამთომთოთხილამურეთა მსოფლიოს თასების გათამაშების ფორმულამ ახალი ცვლილება განიცადა, რაც სწრაფდამშვების ოსტატთა შანსების ერთგვარი ამაღლების სურვილით არის ნაკარნახევი.

1978-79 წლების ზამთრის სეზონის მსოფლიოს თასების გათამაშების პროგრამას დაემატა 4 ე. წ. კომპლექსური შეჯიბრება. თითოეულ კომპლექსურ ასპარეზობაში სწრაფდაშვებისა და სლალომის ან გიგანტური სლალომის ჯამში გამარჯვებული მიიღებს 25 ქულას, იმდენივეს, რაც სხვა ცალკეულ სახეობებში უძლიერესებს ეძლევათ და, ბოლოს, უკანასკნელ 3 შეჯიბრებაში ქულები დაერიცხებათ სპორტსმენებს, რომლებიც 1-25 ადგილებს დაიკავებენ (და არა 1-10 ადგილს როგორც ეს ადრე იყო).

როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, მომავალი ზამთრის ოლიმპიადის (ლეიკ-პლესიდი, 1980 წლის 12-24 თებერვალი) წინა სეზონში ასეთი ცვლილებები ხელს შეუწყობს სამთო-სათხილამურო სპორტის ოსტატთა რიგების ზრდა, ტექნიკის სრულყოფასა და მაშასადამე, XIII თეთრ ოლიმპიადაზე საინტერესო, უშეღავათო ბრძოლებს, გვპირდება.

თხილამურები

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ტოკიო.** ძიუდოისტთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 20 ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ, იაპონელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს თითქმის ყველა წონით კატეგორიაში.

საბჭოთა სპორტსმენთაგან პრიზიორებში გასვლა დასკვნითს დღეს შეძლო მოსკოველმა ბ. ბერიძემ, რომელიც ნახევარფინალში დამარცხდა ფრანგ ჟან-ლიუკ-რუჟეთან ბერიძემ III ადგილი დაიკავა აბსოლუტურ პირველობაში.

**მადრიდი.** ესპანეთის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა სამოყვარულო კრივის (აიბა) საერთაშორისო ასოციაციის კონგრესმა, რომელმაც განიხილა სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარების პრობლემები. გაიმართა აიბა-ს აღმასკომის არჩევნები. ახლა მას უხელმძღვანელებს დონალდ ჰალი (აშშ), ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი (სსრ კავშირი) საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს.

**ლახორი.** მსოფლიო ჩემპიონმა — პაკისტანის ბალახის ჰოკეისტთა გუნდმა გაიმარჯვა დიდ საერთაშრისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ოლიმპიადა-76-ის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრები გუნდები. (საკდესი).

# ტანვარჯიში

## „ტიუნიტის“ თასზე

**იაპონიის** ქალაქ ნაგოიაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამარჯვებით დამთავრდა ტრადიციული შეჯიბრება „ტიუნიტის“ თასზე.

ქალთა შორის პირველი იყო ვორონეჟელი ე. დავიდოვა — 38,90 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ე. ნაიმუშინამ და ნ. კარამუშკამ (38,35 თვითეულს).

ვაჟებში გაიმარჯვა იაპონელმა ი. კიტაგავამ (57,75). როსტოველი ს. ხიჟნიაკოვი II ადგილზე გამოვიდა (57,65), ხოლო გ. კრისინი — IV (55,40).

ტურნირში 11 ქვეყნის 33 ტანმოვარჯიშე გამოდიოდა.

# თეთრი ოლიმპიადის კონტურები

XIII ზამთრის ოლიმპიადამდე 14 თვეზე ცოტა მეტი დრო რჩება. როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მისი მეთვალყურენი ირწმუნებიან, ლეიკ-პლესიდის სტარტებმა წარმატებით უნდა ჩაიაროს.

უკვე ცნობილია თამაშების პროგრამა და გრაფიკი. ოლიმპიადა 1980 წლის 12 თებერვალს 13 საათსა და 30 წუთზე ჰოკეის მატჩით დაიწყება, ხოლო მისი საზეიმო გახსნის ცერემონიალი 25 საათის შემდეგ შედგება. 24 თებერვალს, კვირას 18 საათზე კი მოეწყობა 13-დღიანი ბრძოლების შეჯამებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია.

ლეიკ-პლესიდის ასპარეზობათა განრიგი წინა სხვა ოლიმპიადების გრაფიკიდან ერთგვარად განსხვავდება. თუ 1972 წლის საპოროს ოლიმპიადაზე ციგურებით სწრაფსრბენაში ბრძოლას ჯერ ვაჟები იწყებდნენ და მერე ქალები, ხოლო ინსბრუკის XII თამაშებში პირიქით იყო, ლეიკ-პლესიდში ერთი დღე ქალებს დაეთმობა, მეორე — ვაჟებს, მესამე — ისევ ქალებს და ა. შ. ხოლო ვაჟებისა და ქალების 500 მეტრზე რბენა ერთ დღეს ჩატარდება.

საპოროში თამაშები ვაჟთა სლალომით დასრულდა, ინსბრუკში — დიდი ტრამპლინიდან „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებით, ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა კი გადაწყვიტეს თამაშების დამამთავრებელი აკორდი იყოს ჰოკეიში ფინალური შეხვედრა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქიდრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13367